საიდ. №79854/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №17-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „გალდერმა ს.ა.“ (GALDERMA S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №17-03/16), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2149/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „NUTRADERM” (საიდ. №79854/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის

ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირება განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის №2149/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი მსგავსია კომპანიის „ნოვარტის აგ“ (მის:4002 Basel, CH) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნებისა „NITRIDERM TTS“ (რეგისტრაციის ნომერი N5517; რეგისტრაციის თარიღი: 1997/06/09); „NITRODERM TTS“ (IR 453041; საერთაშორისო თარიღი: 2000/04/30; გავრცელების თარიღი:2001/11/29) და „NITRODERM TTS“ (რეგისტრაციის ნომერი N5489; რეგისტრაციის თარიღი:1997/06/06). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები სიტყვიერია და შესრულებულია ლათინური ანბანით. დაპირისპირებული ნიშნები საერთო შთაბეჭდილებით აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად ასევე, ფონეტიკურად. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი ქართულ ენაზე გამოითქმის, როგორც „ნუტრადერმ“, ხოლო რეგისტრირებული ნიშნები „ნიტრიდერმ ტტს“, „ნიტროდერმ ტტს“ და „ნიტროდერმ ტტს“. რაც შეეხება რეგისტრირებულ ნიშნებში შემავალ სიტყვას - „ტტს“, იგი ვერ სძენს ნიშნებს განმასხვავებლობას და შესაბამისად ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. შესაბამისად წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას ნიშნის რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვლის ნაწილისათვის, კერძოდ: „დერმატოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული ნაწარმისათვის“, ვინაიდან რეგისტრირებული ნიშნის მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი: „ფარმაცევტული ნაწარმი“ მოიცავს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი

საქონლის ჩამონათვალის ნაწილს. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „გალდერმა ს.ა." (GALDERMA S.A.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი განსხვავება, რათა არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ნიშნებით ნიშანდებული მე-5 კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა. აპელანტის პოზიციით, როგორც განცხადებული, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჩაწერილია ლათინური შრიფტით. ოთხივე სასაქონლო ნიშანი შეიცავს ე.წ. ფორმანტს „DERM", რაც ნიშნავს კანს და ფართოდ გამოიყენება კანის მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებულ სამედიცინო-ფარმაცევტულ და კოსმეტიკურ სფეროში. აღნიშნული ტერმინი მომხმარებელს მიანიშნებს ამ ფორმანტის შემცველი სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის, ამ შემთხვევაში ფარმაცევტული ნაწარმის, დანიშნულებაზე. სამივე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვიერი ნაწილისაგან, რომელთაგან მეორე - „TTS" არის აბრევიატურა ფრაზისა (Transdermal Therapeutic System), რაც ქართულ ენაზე ნიშნავს - „კანგავლითი (ტრანსდერმული) თერაპიული სისტემები" და მიანიშნებს ამ აბრევიატურის შემცველი სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პრეპარატის გამოყენების მეთოდზე. აპელანტის მითითებით, აშკარაა, რომ როგორც ფორმანტი „DERM", ასევე

აბრევიატურა „TTS“ მე-5 კლასის განცხადებული საქონლისათვის არის აღწერილობითი და არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანობა. აპელანტის აზრით, ზემოთ მოყვანილი არგუმენტები მიუთითებს, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსების ხარისხი დამოკიდებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების პირველ ხუთასოიან ელემენტზე, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანში - „NUTRA“ (ნუტრა), დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებში - „NITRI“ (ნიტრი) და „NITRO“ (ნიტრო). ყველა ამ ელემენტში თანხმოვანი ასო-ბგერები იდენტურია და ერთნაირადაა განლაგებული. რაც შეეხება ხმოვან ასო-ბგერებს, განცხადებული სასაქონლო ნიშნის პირველი ელემენტის ხმოვანი ასო-ბგერები „U” და „A”, რომელთა ქართული ტრანსლიტერაცია შესაბამისად, არის „უ” და „ა”, არ არის მსგავსი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შესაბამის ელემენტში არსებული ხმოვანი ასო-ბგერებისა: „I” და „I” (ქართული ტრანსლიტერაცია ”ი” და ”ი”); „I” და „O”(ქართული ტრანსლიტერაცია ”ი” და ”ო”). აპელანტის განმარტებით, აშკარაა, რომ ხმოვანი ასო-ბგერების ვიზუალური და მით უმეტეს ჟღერადობრივი განსხვავების გამო, განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების პირველი ელემენტები და შესაბამისად, მთლიანად სასაქონლო ნიშნები. აღნიშნული განსხვავება სრულიად საკმარისია იმისათვის რათა არ მოხდეს ამ სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული ფარმაცევტული ნაწარმის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მხრიდან. აპელანტის აზრით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მე-5 კლასის საქონელი - „დერმატოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული ნაწარმი“, რომლის მიმართაც სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, წარმოადგენს უშუალოდ კანის მოსავლელ და/ან სამკურნალო საშუალებას. ეს არის სხვადასხვა ფორმით (კრემი, ლოსიონი, სპრეი და ა.შ.) დამზადებული კანის მოსავლელი და სამკურნალო საშუალებები, მაშინ როდესაც, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში ჩართული აბრევიატურა „TTS“ (Transdermal Therapeutic System) -

კანგავლითი (ტრანსდერმული) თერაპიული სისტემები, მიანიშნებს ამ ნიშნებით მონიშნული ფარმაცევტული ნაწარმის გამოყენების მეთოდზე. კანგავლითი (ტრანსდერმული) თერაპიული სისტემები არ წარმოადგენენ კანის სამკურნალო საშუალებებს. კანგავლითი (ტრანსდერმული) თერაპიული სისტემები ძირითადად გამოიყენება, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. ისინი სხვადასხვა საშუალებით (პლასტირი, თაბაშირი და სხვა) დაიტანება ადამიანის კანზე, საიდანაც ხდება მათი თანდათანობით შეღწევა კანქვეშა ქსოვილებში და შემდეგ სისხლში. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში, საქონლის ერთგვაროვნების მიუხედავად, გასათვალისწინებელია მათი სხვადასხვა თერაპიული დანიშნულება, რაც ამცირებს აღრევის შესაძლებლობას. აპელანტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ როგორც განცხადებული ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია და თანაარსებობენ წარმოშობის ქვეყანაში - შვეიცარიაში. აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის „ნოვარტის აგ“ თანხმობის წერილი, რომლის მიხედვით „ნოვარტის აგ“ თანახმაა განცხადებული სასაქონლო ნიშნის „NUTRADERM“ (საიდ. №79854/03) საქართველოში რეგისტრაციასა და გამოყენებაზე, კომპანიის „გალდერმა ა.ს.“ სახელზე, მე-5 კლასის სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის, დერმატოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული ნაწარმის ჩათვლით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2149/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „NUTRADERM” (საიდ. №79854/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნის დარეგისტრირებას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „NUTRADERM" (საიდ. №79854/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები: „NITRIDERM TTS" (რეგ. N5517), „NITRODERM TTS" (IR 453041) და „NITRODERM TTS" (რეგ. N5489) აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკურად.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს და მათ არ ახლავთ გამოსახულებითი ელემენტები. ამასთან, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. მსგავსია, ნიშნების საწყისი ნაწილები - „NUTRA", „NITRI" და „NITRO". რაც შეეხება ნიშნების დაბოლოებას „DERM", იგი წარმოადგენს ე.წ. ფორმანტს მე-5 კლასის საქონლის მიმართ და შესაბამისად, სუსტი დაცვის ელემენტია ნიშნებში. მართალია, დაპირისპირებული სასაოქნლო ნიშნები დამატებით შეიცავს აღნიშვნას „TTS", მაგრამ აღნიშნული ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან ნიშნებში დომინანტი ელემენტია „NITRIDERM" და „NITRODERM", რომელიც აღრევამდე მსგავსია განცხადებული ნიშნისა.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ნუტრადერმი“, ხოლო დაპირისპირებული ნიშნები როგორც „ნიტროდერმ ტტს“ და „ნიტრიდერმ ტტს“.

მსგავსია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „დერმატოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული ნაწარმი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალისათვის: „ფარმაცევტული ნაწარმი“, „სამედიცინო რეცეპტებზე გასაყიდი ტრანსდერმატიტული დანიშნულების მედიკამენტები“. დაპირისპირებული სასაქონლლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი - „ფარმაცევტული ნაწარმი“ მთლიანად მოიცავს განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალს. „დერმატოლოგიური დანიშნულების ფარმაცევტული ნაწარმი“ და „სამედიცინო რეცეპტებზე გასაყიდი ტრანსდერმატიტული დანიშნულების მედიკამენტები“ წარმოადგენს ერთგვაროვან ფარმაცევტულ პრეპარატებს, ვინაიდან ორივე კანის სამკურნალო ფარმაცევტულ საშუალებებს წარმოადგენს. აღნიშნული უფრო ზრდის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „NUTRADERM” (საიდ. №79854/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის

თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „გალდერმა ს.ა." (GALDERMA S.A.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის -„საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №2149/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ს. მუჯირი
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	უ. ოშხნელი